



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 8

2011 წლის 28 იანვარი
ქალაქი ხაშური

მოქალაქე მალხაზ ლომიტაშვილის განცხადების განხილვა მის საკუთრებაში არსებულ ქ. ხაშურში აგარის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის მისამართის დადგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია დაბა სურამში, ტალახაძის ქ. №23-ში მცხოვრები მოქალაქე მალხაზ ლომიტაშვილის განცხადება, ქ. ხაშურში აგარის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის მისამართის დადგენის შესახებ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად:

- 1 ქ. ხაშურში აგარის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის მისამართი დადგენილი იქნას „ქ. ხაშური აგარის ქუჩა №19“
2. განკარგულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე